საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2719-02
09.09.2024

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ბიზნესის სკოლაში ფინანსების და საბანკო საქმის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

2024 წლის 2 ივლისს რექტორის N1629-02 ბრძანების საფუძველზე გამოცხადდა კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ბიზნესის სკოლაში ფინანსების და საბანკო საქმის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე. საკონკურსო განცხადებების მიღების პერიოდი განსაზღვრული იყო ბრძანების მიხედვით 2024 წლის 9 აგვისტოდან 2024 წლის 23 აგვისტოს ჩათვლით. ამ პერიოდში არცერთი განაცხადი არ შემოსულა უნივერსიტეტის კანცელარიაში. კონკურსის შედეგი უნდა დამტკიცდეს 2024 წლის 9 სექტემბერს.

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, 32-ე მუხლის და 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 2018 წლის 6 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-2 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების”, რექტორის 2024 წლის 2 ივლისის ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ბიზნესის სკოლაში ფინანსების და საბანკო საქმის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ N1629-02 ბრძანების, აკადემიური საბჭოს 2024 წლის 1 ივლისის N7 და 2024 წლის 27 აგვისტოს N9 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ბიზნესის სკოლაში ფინანსების და საბანკო საქმის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე გამოცხადებული კონკურსის შედეგის საფუძველზე ფინანსების და საბანკო საქმის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამარჯვებული არ გამოვლინდა.
2. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.
3.კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისათვის: ბიბლიოთეკა, საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახური, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახური, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი